

N \_\_\_\_\_  
\_/\_/\_\_\_\_

000000-00-0-000000000000



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ბიუროს სხდომის  
ოქმი N 4**

ქ. ლანჩხუთი

19. 04. 2017 წელი

**ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიმიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვალერი წულაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია. გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია. გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი თენგიზ ხელაძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოვიდა ერთი საკითხი, რომელიც დაემატა დღის წესრიგის პროექტს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

*/მომხსენებელი რ. ბიწაძე/*

5.

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული ხარჯების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის N35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის“ საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი რ.ლაშხია/

8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ხელაძე/

9. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

სხვადასხვა:

**დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.**

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

**მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

**საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღად განისაზღვრა 2017 წლის 28 აპრილი, 11 საათი.**

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე:** „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N 7 დადგენილების დანართის მე-3-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტში არის შეცდომა, კერძოდ დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულება 2 პროცენტის ნაცვლად შეადგენს 0.2 პროცენტს.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტის მიმართ შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება– დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“ , „მაჟორიტარები“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

### **მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად, მუნიციპალიტეტს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია განსაზღვროს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება. აღნიშნულის გათვალისწინებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურისა და ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურების მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი, რომლითაც მოხდება: ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ავტომანქანის პარკირების ორგანიზებულობის, საგზაო მოძრაობის უსაფრხოების, საგზაო მოძრაობის მონაწილეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე პარკირების სფეროს განვითარება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ნორმატიული აქტის პროექტი, ვინაიდან მის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ**, აღნიშნა, რომ ის საფუძვლიანად გაეცნო წარმოდგენილ დოკუმენტს და კატეგორიულად მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში მოეწყოს პარკირება, რადგან იგი წარმოადგენს ერთადერთ ადგილს ქალაქში, სადაც სივრცე არ არის დატვირთული.

პარკირების მოწყობით აღნიშნული ტერიტორია გადაიტვირთება და ფაქტობრივად თავისუფლად გადასადგილებელი ადგილი აღარ დარჩება.

ბიუროს წევრები მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიამ. მან აღნიშნა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ გვიმბალაურში მდებარე N1 შენობა-ნაგებობის 1322,1 კვ.მ. ფართიდან 827,2 კვ.მ. ფართისა და N5 შენობის (სტადიონი) (ს/კ 27.08.47.030) ) ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისათვის“ (ს/ნ433642203) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან აიპის აღნიშნული უძრავი ქონება ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული ფუნქციების განსახორციელებლად.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება– დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.
3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ ცვლილება ეხება საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტის საშტატო რიცხოვნობას, კერძოდ, ნაცვლად 5-სა უნდა განისაზღვროს 4 ერთეულით. ვინაიდან, საორგანიზაციო განყოფილების გამართულად მუშაობისთვის სრულიად საკმარისია 4 მთავარი სპეციალისტი.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინააღმდეგები არ გამოთქმულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების

შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება– დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“ , „მაჟორიტარები“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**მომხრე 15 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ ცვლილება ეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის რეგლამენტში ტექნიკური ხარვეზის გასწორებას, ასევე ცვლილების შედეგად გამიჯნული იქნება და დაკონკრეტებული საკრებულოს კომისიების, ფრაქციების უფლებამოსილებები და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით ვადები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკრებულომ მიიღოს გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №13



დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**მომხრე 15 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული ხარჯების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის N35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის მე-16 მუხლი არეგულირებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესს, აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია საკრებულომ მიიღოს გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, კომისიის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების წესის დამტკიცების შესახებ“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში“ სხდომას წარუდგინა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2016 წელს მობილიზებულია სულ შემოსავლები საგადასახადო, არასაგადასახადო და არაფინანსური აქტივების კლებიდან 3111.6 ათ. ლარი ანუ გეგმა შესრულებულია 93.0%-ით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულებულია 101.5%-ით. აქედან, საშემოსავლო გადასახადი 480,3 ათ. ლარი /73,9%/, საწარმოთა ქონების გადასახადის საკასო შესრულებამ შეადგინა 400.5 ათ. ლარი /121.4%/; ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადმა შეადგინა 17.7 ათ. ლარი /177.2%/; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის საკასო შესრულება შეადგენს 130.0 ათ. ლარს /216.7%/; არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის 525.0 ათ. ლარს /109.4%/; არასაგადასახადო შემოსავლების საკასო შესრულება შეადგენს 865.4 ათ. ლარს და გეგმა 77.5%-ით არის შესრულებული; მ.შ. ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან მიღებულია 90.8 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 30.3%-ით, შემოსავალმა მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შეადგინა 8.8 ათ. ლარი /88.1%-ი/; სანებართვო მოსაკრებლიდან მიღებულია 6.9 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 69.8%-ით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებიდან მიღებულია 8.0 ათ. ლარი გეგმა შესრულებულია 58.8 %-ით.

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან მიღებულია 35.2 ათ. ლარი , გეგმა შესრულებულია 175.9 %-ით; ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან მიღებულია 694.5 ათასი ლარი, გეგმა შესრულებულია 91 %-ით. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებულია 21.1 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია მიღებულია 692.5 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 98.9%-ით; სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური დახმარების სახით მიღებული აქვს 14286.4 ათ. ლარი ანუ გეგმის 99.9%-ი, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 5881,1 ათ. ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 220,0 ათ. ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 3897,6 ათ. ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის 817,5 ათ. ლარი, სტიქიის

შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ 3641,3 ათ. ლარი, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებულია 250.0 ათ. ლარი.

სულ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსულობების სახით საფინანსო წლის განმავლობაში მიღებულია 17398.0 ათ. ლარი ანუ გეგმის 98.6%-ი. საფინანსო წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს ერიცხებოდა 403.3 ათ. ლარი, რომელიც მიიმართა ვალდებულებების დასაფინანსებლად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2015 წლის 29 დეკემბერს N47 დადგენილებით 11235877 ლარის ოდენობით, განხორციელდა ცვლილება 2016 წლის 27 იანვრის N7 დადგენილებით, გაიზარდა ბიუჯეტი 187500 ლარით და განისაზღვრა 11423377 ლარის ოდენობით, 2016 წლის 18 თებერვლის N09 დადგენილებით შევიდა ცვლილება და დაემატა 2414997 ლარი და განისაზღვრა 13838374 ლარით, 2016 წლის 07 მარტი N12 დადგენილებით განხორციელდა ცვლილება და გაიზარდა ბიუჯეტი 1045756 ლარით და განისაზღვრა 14884130 ლარით, 2016 წლის 27 აპრილის N16 დადგენილებით გაიზარდა ბიუჯეტი 93534 ლარით და განისაზღვრა 14977664 ლარით, 2016 წლის 13 ივნისის N18 დადგენილებით გაიზარდა ბიუჯეტი 924901 ლარით და განისაზღვრა 15902565 ლარით, 2016 წლის 29 ივლისის N29 დადგენილებით გაიზარდა ბიუჯეტი 1721288 ლარით და განისაზღვრა 17623853 ლარით, 2016 წლის 17 ნოემბრის N27 დადგენილებით განისაზღვრა 17623853 ლარით, 2016 წლის 23 დეკემბრის N29 დადგენილებით გაიზარდა ბიუჯეტი 366849 ლარით და განისაზღვრა 17990702 ლარით. სულ საფინანსო წლის პერიოდში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შედეგად როგორც შემოსავალი, ისე ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 6754825 ლარით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული იქნა 17584,1 ათ. ლარის ხარჯი; მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 1758,1 ათ. ლარი, ბიუჯეტით გაწეული ხარჯების 19,8%-ი, შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე 130.9 ათ. ლარი გაწეული ხარჯის 1,5%-ი, მივლინების ხარჯების დაფინანსებაზე 5.2 ათ. ლარი, ოფისის ხარჯების დაფინანსებაზე 269,9 ათ. ლარი, /ხარჯის 3,0%/, წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებაზე 15,5 ათ. ლარი, ტრანსპორტის მოვლა შენახვის ხარჯებზე 113,6 ათ. ლარი /ხარჯის 1,3%-ი/, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯებზე 228,0 ათ. ლარი /ხარჯის 2,6%-ი/, არაფინანსური აქტივების ხარჯვაზე მიიმართა 8486,5 ათ. ლარი /ხარჯის 48,6%-ი/, სუფსიდირების წესით დაფინანსებაზე მიიმართა 4830,0 ათ. ლარი /ხარჯის 54,3%-ი/, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამის დაფინანსებაზე მიიმართა 503,1 ათ. ლარი /ხარჯები 2,9%-ი/, სხვა ხარჯების მუხლით გაწერილია 191,4 ათ. ლარი /ხარჯები 2,2%-ი/, ვალდებულებების კლების მუხლიდან გახარჯულია 670,8 ათ. ლარი /ხარჯები 7,5%-ი/. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირებისათვის გაწეული იქნა 664,6 ათ. ლარის ხარჯი ანუ ბიუჯეტით გაწეული ხარჯის 7,5%-ი, მუნიციპალიტეტის გამგეობის ფუნქციონირებისათვის გაწეული იქნა 1563,0 ათ. ლარი ბიუჯეტის ხარჯების 17,6%-ი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსებაზე მიიმართა 108,7 ათ. ლარი ხარჯების 1,2%-ი, ქალაქის ტერიტორიაზე მუნიციპალური შენობა ნაგებობებში დახარჯული წლის გადასახადს შეადგინა 1,1 ათ. ლარს, გარე განათების მოვლის ღონისძიებაზე მიიმართა 403,3 ათ. ლარი ხარჯების 4,5%, დასუფთავების და ნარჩენების გატანაზე მიიმართა 548,1 ათ. ლარი ხარჯების 6,2%, გარე განათებაზე გახარჯული ელექტრო ენერჯის ხარჯზე მიიმართა 152,6 ათ. ლარი ხარჯების 1,7%-ი, სოც. კულტურული ღონისძიებების დაფინანსებაზე მიიმართა 25,8 ათ. ლარი ხარჯების 0,3%-ი,

რელიგიის მხარდაჭერის პროგრამაზე მიიმართა 55.0 ათ. ლარი ხარჯების 0,6%-ი, ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის შენახვაზე გახარჯულია 143,7 ათ. ლარი ხარჯების 1,6%-ი. ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო საადმინისტრაციო ცენტრი დაფინანსდა 1728,5 ათ. ლარი ხარჯების 19,4%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის სპორტული ცენტრის დაფინანსებაზე 380,1 ათ. ლარით ხარჯების 4,3%-ი, ა(ა)იპ მუნიციპალური საფეხბურთო კლუბი გურიას დაფინანსება 626,8 ათ. ლარია ხარჯების 7,0%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის დაფინანსება 185,4 ათ. ლარი შეადგინა ხარჯების 2,1%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო საფეხბურთო სკოლის დაფინანსება 72,5 ათ. ლარი ხარჯების 0,8%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება დაფინანსდა 1013,5 ათ. ლარი ხარჯების 11,4%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსებაზე გაიხარჯა 130,4 ათ. ლარი ხარჯების 1,5%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის დაფინანსებაზე გაიხარჯა 76,5 ათ. ლარი ხარჯების 0,9%-ი, სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე მიიმართა 372,7 ათ. ლარი ხარჯების 4,2%-ი, ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდზე მიიმართა 535,1 ათ. ლარი ხარჯების 6,0%-ი, შპს ლანჩხუთის დაფინანსებაზე 105,9 ათ. ლარი ხარჯების 1,2 %-ი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის ობიექტების დაფინანსებაზე გაიხარჯა 8689,5 ათ. ლარი ბიუჯეტით გაწეული ხარჯების 49,4%-ი. მათ შორის ნაპირსამაგრი სამუშაოებზე მიიმართა 2295,2 ათ. ლარი; გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 4064,5 ათ. ლარი; ხიდების მოწყობის სამუშაოებზე 638,0 ათ. ლარი; არასაცხოვრებელი ბინათმშენებლობის სამუშაოებზე 174,4 ათ. ლარი; სკოლამდელი დაწესებულებებისათვის მშენებლობა რეაბილიტაციაზე მიიმართა 444,1 ათ. ლარი; ლანჩხუთის სკვერის კეთილმოწყობის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 282,5 ათ. ლარი; საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე 35,0 ათ. ლარი; სოფლის მხარდაჭერის დაფინანსებაზე მიიმართა 733,8 ათ. ლარი; ნინოშვილის სახლმუზეუმის რეაბილიტაციაზე მიიმართა 21,8 ათ. ლარი.

მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული შესყიდვების გეგმის ჯამი შეადგენს 700439 ლარს, ცენტრალური ბიუჯეტით დაფინანსებული შესყიდვების გეგმის ჯამი შეადგენს 8482614 ლარს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მონეტარული ზღვარის გათვალისწინებით 2016 წლის განმავლობაში სულ გამოცხადებული იქნა 56 ტენდერი, არ შემდგარი ტენდერების რაოდენობა შეადგენს 4, უარყოფითი შედეგით დასრულდა სამი ტენდერი. ტენდერების შედეგად მიღებული იქნა 683755 ლარის ეკონომია. ინფორმაცია ტენდერების შესახებ ასახულია დანართი №1-ში. ტენდერის საშუალებით გაფორმებული იქნა 47 ხელშეკრულება. სულ 2016 წლის განმავლობაში განყოფილების მიერ გაფორმებული იქნა 213 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის N175 განკარგულების შესაბამისად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამუშაოების შესრულების მიზნით ამავე განკარგულებით გამოყოფილი იქნა 3858004 ლარი. ელექტრონული ტენდერის შედეგად გაფორმებული იქნა ხელშეკრულებები და შესრულდა სამუშაოები. ინფორმაცია სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ასახულია დანართი N2-ში.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულების შესაბამისად სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტისათვის გამოიყო 806256 ლარი. გამოყოფილი თანხიდან 50000 ლარის ოდენობით განხორციელდა რგფ-ის პროექტების თანადაფინანსება. დარჩენილი თანხა განაწილებული იქნა სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრებზე დასმული პრობლემების გათვალისწინებით. გამოყოფილი თანხით სულ სოფლებში დაფინანსდება 99 პროექტი. ინფორმაცია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის სამუშაოების შესახებ ასახულია დანართი N3-ში.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის N964 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 850000 ლარი. სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული იქნა ელექტრონული ტენდერი. ჩატარდა სულ ოთხი ელექტრონული ტენდერი. ყველა ხელშეკრულება დასრულდა ვადაში, ხელშეკრულების პირობების დაცვით.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის N1340 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 68889 ლარი. აღნიშნული თანხით განხორციელდა სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისათვის სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავების შესყიდვა. სახურავები შესყიდული იქნა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის N1409 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 1652300 ლარი. აღნიშნული თანხით სამუშაოების შესყიდვის მიზნით ჩატარდა რვა ელექტრონული ტენდერი. ხელშეკრულება გაფორმებული იქნა ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებლებთან. ყველა ხელშეკრულება დასრულდა ვადაში. შემსრულებლები არ დაჯარიმებულა. ინფორმაცია სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვის შესახებ ასახულია დანართი N4-ში.

მუნიციპალიტეტს 2016 წლის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების მიერ ხორციელდებოდა დებულებით გათვალისწინებული ყველა ფუნქცია. განყოფილების ყველა თანამშრომელზე გადანაწილებული იყო განყოფილების მიერ შესასრულებელი ყველა ფუნქცია. ყოველდღიურად ხორციელდებოდა შემოსავლებისა და ხარჯების ყოველდღიური აღრიცხვა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სამსახურების მუშა-მოსამსახურეთა ხელფასების, პრემიების, სამივლინებო თანხების დარიცხვა და საბანკო ანგარიშებზე თავისდროულად ჩარიცხვა, საშემოსავლო გადასახადების ანგარიშების შედგენა და დადგენილ ვადაში საგადასახადო ინსპექციაში წარდგენა, მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი ანგარიშების შესაბამისად კომუნალური და სხვა გასაცემი თანხების მომწოდებლებზე თავისდროულად გადარიცხვა, მისაწოდებელი და მიწოდებული საქონლის, სამუშაოების, მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ და შესაბამისი ინსპექტირების ჯგუფის დასკვნით, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე მომწოდებელზე თანხის ჩარიცხვა, ბუღალტრული დოკუმენტების, აღრიცხვის რეგისტრების, ხარჯთანუსხების, მათი გაანგარიშებების და სხვა საბუთების შენახვაზე კონტროლი და დადგენილი წესით მათი გაარქივება, ბიუჯეტის შემოსავლების და გადასახდელების ყოველდღიური აღრიცხვა, რითვისაც ყოველდღიურად მუშავდებოდა ხაზინიდან მიღებული ამონაწერები (ავიზოს), უზრუნველყოფილი იყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხების დადგენილი წესით დაბრუნება, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებებიდან საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ანგარიშების (ბუღალტრული ბალანსების) მიღება, წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტის (მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშ-ფაქტურა და სხვა) საფუძველზე საგადახდო დავალების მომზადება გადახდის განსახორციელებლად. ხდებოდა მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა და კონტროლის განხორციელება საბიუჯეტო დაწესებულებებსა და მუნიციპალიტეტის გამგეობისა მიერ

დაფუძნებული საწარმოებებსა და დაწესებულებების საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების და მათთვის ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების ხარჯვი დროს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების სწორად განხორციელების საკითხებზე.

2016 წელს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების მიერ მიღებულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული თერთმეტი არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის და ერთი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების ფორმები, სულ ჯამში 141 ცალი ყოველთვიური ანგარიშის ფორმა. აღნიშნული ფორმები შედარებული იქნა ა(ა)იპ-ების და შპს-ს მიერ წარმოდგენილ წლიურ ხარჯთაღრიცხვებთან და მათ მიერ გაწეულ ხარჯებთან. ასევე 2016 წელს მიღებული იქნა 19 ცალი კვარტლური ანგარიშის ფორმა. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა 2016 წლის წლიური ბალანსების მიღება-დამუშავებაზე.

საკრებულოს ფრაქცია „ მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე **ნონა მურვანიძე** დაინტერესდა, თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო დაგეგმილი 2016 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არაფინანსური აქტივებისგან, კერძოდ, ინერტული მასალების მომპოვებელი კარიერებიდან და რეალურად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რა რაოდენობის თანხა შემოვიდა.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ ინერტული მასალების მოპოვებიდან მიღებული შემოსავალი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თავდაპირველად დაგეგმილი იყო 500 000 ლარზე, შემდგომ მოხდა აღნიშნული მუხლის კორექტირება 300 000 ლარამდე. დღევანდელ მოცემულობაში ინერტული მასალებების მოპოვებიდან მიღებული შემოსავლები გახლავთ 90 000 ლარი. მისი თქმით ეს არის მხოლოდ ძველი კარიერებიდან მიღებული შემოსავალი.

საკრებულოს ფრაქცია „ მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე **ნონა მურვანიძე** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აღნიშნული შემოსავლის მუხლი იმთავითვე არასწორად იყო დაგეგმილი, კერძოდ, შემოსავლის მიღების გათვლა გაკეთდა არასწორად.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ ლესის და ღრმადელის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული ინერტული მასალების კარიერებში მოპოვებული მასალები ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე სამშენებლო სტანდარტებს და საგზაო დეპარტამენტის მიერ ოფიციალურად იყო დაწუნებული. ამის თაობაზე მან, როგორც საკრებულოს სხდომაზე, ასევე პრესის საშუალებით დიდი ხნით ადრე ისაუბრა. მისი თქმით ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების მუხლი დაიგეგმა იმ შემოსავლის იმედათ რა შემოსავლის მიღება ფაქტობრივად არარეალური გახლდათ.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2. ანგარიში განსახილველად გადაეგზავნოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს- „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“, „ქართული ოცნება-კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება-მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და უკეთესი ლანჩხუთისათვის“.

3. ანგარიში კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად, განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის მორიგის სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**მომხრე 15 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მერვე საკითხზე:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარადგინა გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა თენგიზ ხელაძემ. მან აღნიშნა, რომ ზედამხედველობის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს ძირითადი ამოცანებიდან, ფუნქციებიდან გამომდინარე უფლებამოსილებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით.

ზედამხედველობის სამსახურმა განახორციელა ზედამხედველობა და კონტროლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ყველა სახის არქიტექტურულ-სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებზე, დადგენილი ორგანიზაციულ სამართლებრივი წესრიგის დაცვის მიმართებით. ამ მიმართებით დაწერილი იქნა 11 (9 ოქმი 200 ლარის, ერთი 2000 ლარის და ერთი 500 ლარის ოდენობის) საჯარიმო ოქმი, ჯარიმის საერთო რაოდენობამ შეადგინა 4300 ლარი.

სამსახურის მიერ განხორციელდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული ობიექტების ზედამხედველობა, მონიტორინგი. ასევე 2016 წლის ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით შესრულებული ობიექტების შემოწმება-დათვალიერება. შესწავლილი იქნა წარმოქმნილი პრობლემები და დაევალა შემსრულებლებს მათი გამოსწორება.

სამსახურის მიერ ადგილზე გასვლის და შესაბამისი რეესტრის შედგენის საფუძველზე გაცემულია 83 თანხმობა სამასალე მორების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით, ასევე 218 საშეშე ცნობა.

სამსახურის მიერ გარემოს ეროვნული სააგენტოდან მოწოდებული კოორდინატების მიხედვით ადგილზე შესწავლილი იქნა ქვიშა-ღორღის, ტუფობრექციების და ცელოითის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობა, კერძოდ, დადებითი დასკვნა

გაცემულია 8 ობიექტზე, ხოლო უარი ეთქვა 7 ობიექტს, ნებისმიერი დასკვნის შემთხვევაში მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნა მოსახლეობის ინტერესები.

ხორციელდება სისტემატური კონტროლი პოლიციის თანამშრომლებთან ერთად ქალაქში გარე ვაჭრობის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების დაცვა შესრულებაზე.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ გარე ვაჭრობის პრობლემასთან დაკავშირებით დედაქალაქში ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა. ასევე უნდა მოგვარდეს აღნიშნული პრობლემა მუნიციპალიტეტში. გარე მოვაჭრეებისათვის უნდა იქნას შეთავაზებული ალტერნატიული ფართები, სადაც მოსახლეობას მიეცემათ საშუალება შეიძინონ პროდუქტები სრული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ გარე ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხი უკვე მრავალი წელია მომდინარეობს და პრობლემის ერთი ხელის მოსმით გადაწყვეტა არის ძალიან რთული. მისი თქმით აღნიშნული პრობლემა ეტაპობრივად უნდა მოგვარდეს.

ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარემ, **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარე ვაჭრობის საკითხთან დაკავშირებული წესი დიდი ხანია აქვს მიღებული, მაგრამ მისი შესრულება რეალურად არ ხდება. მან მიმართა გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსს შეასრულოს თავისი სამსახურეობრივი ვალდებულება, იხელმძღვანელოს აღნიშნული წესით და მოაგვაროს გარე ვაჭრობასთან დაკავშირებული პრობლემა.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ გარე ვაჭრობის პრობლემას მხოლოდ ერთი კონკრეტული სამსახური ან მისი ხელმძღვანელი ვერ მოაგვარებს. მისი თქმით მუნიციპალიტეტმა გარე მოვაჭრეებს უნდა შესთავაზოს ალტერნატიული სავაჭრო ფართი, როგორც ნორმალურ, ცივილიზებულ ქვეყნებში ხდება და მხოლოდ ამის შემდგომ ექნება გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს თუ პოლიციას კანონიერი უფლება პასუხი მოსთხოვონ მათ და ამოქმედონ შესაბამისი სანქციები.

გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა **თენგიზ ხელაძემ** აღნიშნა, რომ გარე ვაჭრობასთან დაკავშირებული პრობლემა ერთ თვეში საბოლოოდ მოგვარდება.

**ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში და უზრუნველყოს გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა თენგიზ ხელაძემ ბიუროს სხდომაზე გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირება.**

**დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში სხდომას წარუდგინა გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ



საქმეთა სამსახურის მიერ წარმატებით განხორციელდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის შემდეგი სოციალური პროგრამები:

1. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 78000 ლარით, პროგრამის მიზანს წარმოდაგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები და რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დღეში ერთჯერადი კვება. პროგრამით სარგებლობდა ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები 60 ბენეფიციარი და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულებიდან 38 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 76554,92 ლარი;

2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 33400 ლარით, პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა, რაც აუმჯობესებს დემოგრაფიულ მდგომარეობას. წლის განმავლობაში პროგრამით სარგებლობდა 30 ოჯახი. პროგრამიდან გახარჯულია 33400 ლარი.

3. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 33647 ლარით, პროგრამის მიზანია ლანჩხუთის ტერიტორიაზე მცხოვრები და რეგისტრირებული, ხანძრისა და მეწყერისგან დაზარალებული, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახებისთვის დახმარება. ბენეფიციარებზე ბინის ქირის გადახდა. პროგრამით სარგებლობდა 37 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 33 640 ლარი.

4. სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 47700 ლარით. პროგრამის მიზანია სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. პროგრამით სარგებლობდა 80 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 44950 ლარი.

5. მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 5400 ლარით. პროგრამის მიზანია მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობა. პროგრამით სარგებლობს ერთი სკოლა, იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია. პროგრამა ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთელობისა და განათლების სრულფასოვნად მიღებას ( 29 მოსწავლე). პროგრამიდან გახარჯულია 5370 ლარი.

6. ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 10000 ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ცენტრ „იავნანაში“ დარეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსოქო-სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა. პროგრამა ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის გადასახადები, ასევე ყოველთვიურად დაფინანსდება ცენტრისათვის საჭირო ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების ღირებულება. პროგრამიდან გახარჯულია 10000 ლარი.

7. ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 34848 ლარით. პროგრამის მიზანია თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა ტრანსპორტირების დაფინანსება ჰემოდიალიზის ჩასატარებლად. პროგრამით მიმდინარე წელს სარგებლობს 19 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 34848 ლარი.

8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 11000 ლარით. პროგრამის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა ფინანსური დახმარება. ოჯახები რომლებიც რეგისტრირებული არიან ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტში ერთჯერადად საშემე მერქნის შესაძენად მიიღებენ ფინანსურ დახმარებას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 64 ოჯახი. პროგრამიდან გახარჯულია 10800 ლარი.

ჰუმანიტარული ორგანიზაციების თანადაფინანსების, ეროვნულ სკრინინგ ცენტრიდან და სამედიცინო დაწესებულებაში მოწვეული სპეციალისტების ბინით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 4800 ლარით. პროგრამის მიზანია ეროვნული სკრინინგ ცენტრის მიერ ლანჩხუთში მოვლინებული სამედიცინო პერსონალის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა, სამედიცინო დაწესებულებაში მოწვეული სპეციალისტების საცხოვრებელი ბინით და კომუნალური გადასახადების თანხით უზრუნველყოფა. უზრუნველყოფა, ეროვნული სკრინინგ ცენტრის მიერ ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევების დროს გახარჯული ელ. ენერჯის თანხის ანაზღაურება, გამოკვლევებისათვის გამოძახებულ პაციენტთა ტრანსპორტირება, წითელი ჯვრის ორგანიზაციისმიერ განსახორციელებელი პროგრამების თანადაფინანსება. პროგრამის მოსალოდნელი შედეგია ჯანმრთელობაზე ზრუნვა, პრევენცია. უფასო გამოკვლევების ჩატარება. მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა. პროგრამით სარგებლობდა 37 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 4800 ლარი.

მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 179320 ლარით. პროგრამის მიზანია ბენეფიციარზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა. ამავე პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ავარიულ მდგომარეობაში არსებული და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოწესრიგებაში. პროგრამით ისარგებლა 748 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 179320 ლარი.

11. ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 15000 ლარით. პროგრამის მიზანია ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების რეაბილიტაცია და მხარდაჭერა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს სარეაბილიტაციო ვარჯიშების ტრენინგს, ფსიქოლოგიურ ტრენინგს, მონაწილეობას მხარდაჭერ საინფორმაციო -საგანმანათლებლო ღონისძიებებში, სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში. პროგრამით ისარგებლა კლუბის წევრმა 27 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 15000 ლარი.

12. ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის )პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 600 ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკს გადაცილებული ხანდაზმულების ერთჯერადი დახმარება. პროგრამიდან გახარჯულია 600 ლარი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ ასევე განხორციელდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა შემდეგი პროგრამები:

2016 წლის 29 მარტს ლანჩხუთის კულტურის ცენტრში ჩატარდა „ლანჩხუთის ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენი ინტელექტუალური კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების წარჩინებულმა მოსწავლეებმა. აღნიშნული კონკურსის ფინალისტებს წახალისების მიზნით გადაეცათ სხვადასხვა ფასიანი საჩუქრები. სულ - 1 000 ლარი.

2016 წლის 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სარეაბილიტაციო დღის ცენტრ „იავნანას“ აღსაზრდელებს (24 აღსაზრდელი) გადაეცათ

24 შეკვრა ტკბილეული. სულ - 360 ლარი.

2016 წლის 10 ივნისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში გაიმართა ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტი. ანსამბლს სიმბოლურ საჩუქრად გადაეცა წმ. გიორგის ხატი. სულ 60 ლარი.

2016 წლის 21 მაისს საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მეორე ეროვნულ კონკურსზე, ლანჩხუთის კულტურის ცენტრთან არსებული ხუხუნაიშვილების სახელობის ბავშვთა სიმღერა-გალობის სკოლის გუნდს სხვადასხვა კატეგორიაში ლაურიატის წოდება მიენიჭა. გუნდმა კატეგორიაში ქართული ხალხური სიმღერა B-a-3 დაიმსახურა ოქროს მედალი, ხოლო კატეგორიაში ქართული ხალხური სიმღერა C-a-3 ბრინჯაოს მედალი. წახალისების მიზნით გუნდს გადაეცა თანხა 300 ლარის ოდენობით.

2016 წლის 7 ივლისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალაქის ცენტრში ღია ცის ქვეშ ჩატარდა ფოლკლორის საერთაშორისო საბავშვო და ახალგაზრდული ფესტივალი „კავკასია-2016“-ის დასკვნითი ტური. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო საქართველოს, ლატვიის,

რუსეთის, ისრაელის, ინდოეთის, სომხეთის, ირანის, თურქეთისა და აზერბაიჯანის ახალგაზრდულმა ანსამბლებმა. სტუმრებს გადაეცათ ქართული ტრადიციული ცეკვის ამსახველი სუვენირები. სულ - 535 ლარი.

2016 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდაში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებმა ფიქრია ფირცხალაიშვილმა მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი 100% ოდენობით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ტესტში დაფიქსირებული შედეგების მიხედვით ფიქრია საქართველოს მასშტაბით საუკეთესო ხუთეულში მოხვდა (მეოთხე ადგილი). სამსახურმა ფიქრია ფირცხალაიშვილი წაახალისა ფულადი ჯილდოთი 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

2016 წლის 25 თებერვალს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებაში „საქართველოს ბუმბერაზები“. დაფინანსდა მოსწავლეთა ტრანსპორტირება ქ. თბილისში. სულ - 537 ლარით.

2016 წლის 16 აპრილს ქალაქ თბილისში კონგრეს არტ ჰოლში ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის და გაზეთ საქართველოს ქორეოგრაფიის საანგარიშო კონცერტში მონაწილეობა მიიღო სუფსის კულტურის ცენტრის განყოფილების ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „აისი“. დაფინანსდა ანსამბლის ტრანსპორტირება ქალაქ თბილისში. სულ - 1185 ლარი

2016 წლის 21 აპრილს საქართველოს ხელოვნების აკადემიის რიგით მე-4 სენაკის საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა მიიღო სუფსის სამუსიკო სკოლის ოცმა მასწავლემ. დაფინანსდა მოსწავლეთა ტრანსპორტირება - სულ - 160 ლარი.

2016 წლის 21 მაისს ქ. თბილისში გაიმართა „2015-2016 სასწავლო წლის საქართველოს ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენი ინტელექტუალური კონკურსი. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო „ლანჩხუთის ეტალონი მოსწავლის“ კონკურსის გამარჯვებულმა. აღნიშნულ ღონისძიებას დაესწრო ლანჩხუთელი წარმატებული მოსწავლე-ახალგაზრდები და მედია პროექტ „ეტალონის“ მონაწილეები; დაფინანსდა მათი ტრანსპორტირება ქალაქ თბილისში. სულ 1422 ლარი.

2016 წლის 1 აგვისტოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კურორტ გრიგოლეთში არსებულ სასტუმრო „ანდამატში“ ჩატარდა რიგით მე-4 საერთაშორისო სტომატოლოგიური

კონგრესი „საქართველო-უკრაინა“. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „მხედრებმა“. დაფინანსდა ტრანსპორტირება - სულ 100 ლარი.

2016 წლის 11 აგვისტოს სოფ. შინდისში გამართულ ღონისძიებაზე, რომელიც მიემდვნა 2008 წლის აგვისტოს ომში სოფ. შინდისში დაღუპული ლანჩხუთელი გმირების ხსოვნას, დაფინანსდა დაღუპული გმირების ოჯახის წევრების ტრანსპორტირება 800 ლარი.

2016 წლის თებერვალ-მარტის თვეში ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის სხვადასხვა ღონისძიებებში (კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, ფრენბურთი, ხელბურთი, ფეხბურთი, კროსი, მხიარული სტარტები), რისთვისაც შეძენილი იქნა სხვადასხვა სახის სპორტული საქონელი. თანხა ჯამში შეადგენს 220 (ორას ოცი) ლარს.

2016 წლის 1 მაისს აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით სოფელ შუხუთში გაიმართა ტრადიციული ღონისძიება „ლელო ბურთი“. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებები. რისთვისაც შეძენილ იქნა სპორტული თასები, სამახსოვრო მედლები და სიგელები. თანხა ჯამში შეადგენს 450,80 (ოთხას ორმოცდაათი და ოთხმოცი) ლარს. ასევე ლელოსთვის შეძენილი იქნა სპეციალური სათამაშო ბურთი, სადაც ღირებულებამ შეადგინა 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი. თანხა ჯამში შეადგენს 700,80 (შვიდასი და ოთხმოცი) ლარს.

23 მაისს ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმართა სოფლის სახალხო დღესასწაული „ჩიბათობა“. აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით გაიმართა სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებები (ფეხბურთი, ფრენბურთი, დოდი), სადაც გამარჯვებული მონაწილეების დასაჯილდოებლად შეძენილი იქნა სპორტული თასები და სამახსოვრო მედლები. თანხა ჯამში შეადგენს 88 (ოთხმოცდარვა) ლარს.

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ სკვერში გაიმართა სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებები (ქართული ჭიდაობა, მკლავჭიდი, ჭადრაკი, ნარდი, მაგიდის ჩოგბურთი, ბაგირის გადაძალვა, ფრენბურთი), სადაც გამარჯვებული მონაწილეების დასაჯილდოებლად შეძენილი იქნა სპორტული თასები, სამახსოვრო მედლები და სამახსოვრო სიგელები. თანხა ჯამში შეადგენს 729 (შვიდას ოცდაცხრა) ლარს.

ივნისის თვეში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო გუნდის „ფირალების“ წევრებსა და მათ მწვრთნელებს (სულ 24 ადამიანი) გადაეცათ სამადლობლო სიგელები განვლილ წლებში მოპოვებული წარმატებებისათვის, სადაც გუნდი „ფირალები“ არაერთხელ გახდა სხვადასხვა ტურნირის გამარჯვებული და საპრიზო ადგილის მფლობელი. გუნდ „ფირალების“ ფეხბურთელების და მწვრთნელების დასაჯილდოებლად შეძენილ იქნა სამადლობლო სიგელები. თანხა ჯამში შეადგენს 108 (ას რვა) ლარს.

28 ივნისს ქ. ოზურგეთის სპორტის სასახლეში გაიმართა გურიის რეგიონის რიგით მეორე ჩემპიონატი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ნარდი, მკლავჭიდი, შაში, ჭადრაკი). აღნიშნულ ღონისძიებაში მიწვეული იყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი და გამარჯვებულ მონაწილეებს გადაეცათ სხვადასხვა სახის ფასიანი საჩუქრები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით. გამარჯვებული მონაწილეების დასაჯილდოებლად შეძენილი იქნა სამახსოვრო სუვენირები. თანხა ჯამში შეადგენს 97 (ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარს.

17 ოქტომბერს გაიმართა შეჯიბრება რაიონული სპარტაკიადის ფარგლებში - ჭადრაკში ლანჩხუთის საჯარო და საბაზო სკოლებს შორის, როგორც ვაჟებში, ასევე გოგონებს შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში გამარჯვებულ სკოლის მოსწავლეებს გადაეცათ თასები, მედლები და სამახსოვრო სიგელები. თანხა ჯამში შეადგენს 198 (ას ოთხმოცდათვრამეტი) ლარს.

26 ოქტომბერს გაიმართა შეჯიბრება რაიონული სპარტაკიადის ფარგლებში - ცურვაში ლანჩხუთის საჯარო და საბაზო სკოლებს შორის, როგორც ვაჟებში, ასევე გოგონებს შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში გამარჯვებულ სკოლის მოსწავლეებს გადაეცათ თასები, მედლები და სამახსოვრო სიგელები. თანხა ჯამში შეადგენს 138 (ას ოცდათვრამეტი) ლარს.

16 ნოემბერს გაიმართა შეჯიბრება რაიონული სპარტაკიადის ფარგლებში - მაგიდის ჩოგბურთში ლანჩხუთის საჯარო და საბაზო სკოლებს შორის, როგორც ვაჟებში, ასევე გოგონებს შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში გამარჯვებულ სკოლის მოსწავლეებს გადაეცათ თასები, მედლები და სამახსოვრო სიგელები. თანხა ჯამში შეადგენს 138 (ას ოცდათვრამეტი) ლარს.

სპორტის რვა სახეობაში (კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, ფრენბურთი, ხელბურთი, ფეხბურთი, კროსი, მხიარული სტარტები) ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა. 16-17 თებერვალი: (კალათბურთი), 24-25 თებერვალი: (მაგიდის ჩოგბურთი), 1-2 მარტი: (ბადმინტონი), 4-5 მარტი: (ფრენბურთი), 9-10 მარტი: (ხელბურთი), 16-17-18 მარტი: (ფეხბურთი), 23 მარტი: (გეზრბენი), 28 მარტი: (მხიარული სტარტები). თანხა ჯამში შეადგენს 1972 (ათას ცხრაას სამოცდათორმეტი) ლარს.

სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში გამარჯვებული გუნდების მონაწილეებისთვის მოხდა სპორტული ფორმების შეკერვა, რომელიც საჭირო იყო რეგიონალურ, ზონალურ (დასავლეთ საქართველო) და საქართველოს ჩემპიონატის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად. თანხა ჯამში შეადგენს 2104 (ორი ათას ასოთხი) ლარს.

23 მაისს ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმართა სოფლის სახალხო დღესასწაული „ჩიბათობა“. აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით გაიმართა სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებები (ფეხბურთი, ფრენბურთი, დოლი), სადაც სპორტული შეჯიბრებების ჩასატარებლად შეძენილი იქნა სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი (ფეხბურთის ბადე 1(ერთი) ცალი, ფეხბურთის ბურთი 2 (ორი) ცალი, ფრენბურთის ბადე 1 (ერთი) ცალი, ფრენბურთის ბურთი 2 (ორი) ცალი). თანხა ჯამში შეადგენს 247 (ორას ორმოცდაშვიდი) ლარს.

01-15 აგვისტოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში: ღრმაღელეში, ჯურუყვეთში, აცანაში და ნიგოთში გაიმართა სპორტული ღონისძიებები (ფეხბურთი, ფრენბურთი), სადაც სპორტული შეჯიბრებების ჩასატარებლად შეძენილი იქნა სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი: ფეხბურთის ბადე 4 (ოთხი) ცალი, ფეხბურთის ბურთი 8 (რვა) ცალი, ფრენბურთის ბადე 4 (ოთხი) ცალი, ფრენბურთის ბურთი 5 (ხუთი) ცალი). თანხა ჯამში შეადგენს 940 (ცხრაას ორმოცი) ლარს.

15-30 აგვისტოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში: ჩოჩხათში, მაჩხვარეთში, შუხუთში და სუფსაში გაიმართა სპორტული ღონისძიებები (ფეხბურთი, ფრენბურთი), სადაც სპორტული შეჯიბრებების ჩასატარებლად შეძენილი იქნა სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი: ფეხბურთის ბადე 3 (სამი) ცალი, ფეხბურთის ბურთი 7 (შვიდი) ცალი, ფრენბურთის ბადე 4 (ოთხი) ცალი, ფრენბურთის ბურთი 8 (რვა) ცალი. თანხა ჯამში შეადგენს 890 (რვაას ოთხმოცდაათი) ლარს.

27-28 მარტს ქ. თბილისში გაიმართა საქართველოს პირველობა „ბერძნულ-რომაულ“ სტილით ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. სადაც გამარჯვება მოიპოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის აღსაზრდელმა გიორგი შოთაძემ, რომელსაც გადაეცა ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აქედან ხელზე ასაღები პროგრამით გათვალისწინებული ფულადი ჯილდო შეადგენს 400 (ოთხასი) ლარს. ასევე პროგრამით გათვალისწინებული ფულადი ჯილდო 375 (სამას სამოცდათხუთმეტი) ლარი გადაეცა მის მთავარ მწვრთნელს ზაზა ლლონტს, რომელიც ამავდროულად

მუშაობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრში მწვრთნელად. ხელზე ასაღები პროგრამით გათვალისწინებული ფულადი ჯილდო შეადგენს 300 (სამასი) ლარს. თანხა ჯამში შეადგენს 875 (რვაას სამოცდათხუთმეტი) ლარს.

21-25 ივლისს შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში გაიმართა ევროპის პირველობა „ბერძნულ-რომაულ“ სტილით ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. სადაც გამარჯვება მოიპოვა და დაიკავა პირველი ადგილი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის აღსაზრდელმა, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრმა, გიორგი შოთაძემ, რომელსაც გადაეცა პროგრამით გათვალისწინებული ფულადი ჯილდო 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით. ასევე პროგრამით გათვალისწინებული ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარი გადაეცა მის მთავარ მწვრთნელს ზაზა ლლონტს, რომელიც ამავდროულად მუშაობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრში მწვრთნელად. თანხა ჯამში შეადგენს 1100 (ათას ასი) ლარს.

13-18 სექტემბერს ქ.თბილისში გაიმართა მსოფლიოს პირველობა „ბერძნულ-რომაულ“ სტილით ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. სადაც გამარჯვება მოიპოვა და დაიკავა პირველი ადგილი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის აღსაზრდელმა, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრმა, გიორგი შოთაძემ, რომელსაც გადაეცა პროგრამით გათვალისწინებული ფულადი ჯილდო 800 (რვაასი) ლარის ოდენობით. ასევე პროგრამით გათვალისწინებული ფულადი ჯილდო 600 (ექვსასი) ლარი გადაეცა მის მთავარ მწვრთნელს ზაზა ლლონტს, რომელიც ამავდროულად მუშაობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრში მწვრთნელად. თანხა ჯამში შეადგენს 1400 (ათას ოთხასი) ლარს.

11-13 ნოემბერს ქ. ბათუმში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი “კარატეში“ ახალგაზრდებს შორის. სადაც გამარჯვება მოიპოვა და პირველი ადგილი დაიკავა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის აღსაზრდელმა, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრმა, გუგა ივანაშვილმა, რომელსაც გადაეცა პროგრამით გათვალისწინებული ფულადი ჯილდო 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით. ასევე პროგრამით გათვალისწინებული ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარი გადაეცა მის მთავარ მწვრთნელს მერაბ თურქიას. თანხა ჯამში შეადგენს 1100 (ათას ასი) ლარს.

საკრებულოს სამადატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ასევე გამგეობაში შემოვიდა მოქალაქე თამარ ჭეიშვილის განცხადება, რომელიც ითხოვდა თავისი დისთვის( რომელიც შემდგომ გარდაიცვალა) საოპერაციო თანხით დახმარების აღმოჩენას, რაზეც გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ უარი ეთქვა. მოქალაქემ, ასევე მიმართა სახალხო დამცველის აპარატს. გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა სახალხო დამცველის აპარატს მისწერა წერილი, რომ მოქალაქისადმი დახმარების აღმოჩენა იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ ის იყო უკვე გარდაცვლილი; საკრებულოს სამადატო, საპროცედურო იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას აცნობა, რომ მოქალაქე იყო თბილისის მაცხოვრებელი, ხოლო მუნიციპალიტეტის გამგებელს მიაწოდა აღბათ კიდევ რაიმე სხვა ინფორმაცია.

გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** განმარტა, რომ სამსახურმა გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა იმ განკარგულების შესაბამისად, რომელიც არეგულირებს მუნიციპალიტეტის სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დაფინანსების პროგრამას, რომლის მიხედვით დახმარების მიღება შეუძლია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ და რეგისტრირებულ მოქალაქეებს.

საკრებულოს სამადატო, საპროცედურო იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დაფინანსების პროგრამა დეკემბერში საკრებულოს მიერ დამტკიცდა განკარგულებით, ხოლო იანვრის თვეში მისი გაცემის წესთან დაკავშირებით საკრებულომ მიიღო დადგენილება, რომელიც იერარქიულად განკარგულებაზე აღმატებულია და გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს სწორედ აღნიშნული დადგენილების საფუძველზე უნდა გაეცა მოქალაქისადმი დახმარება.

გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** განმარტა, რომ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ყველა დოკუმენტაცია მან გადაუგზავნა გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურს, რომელიც საკითხს შეისწავლის დეტალურად და დაადგენს რამდენად მიზანშეწონილად ეთქვა უარი გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ სამსახურის მიერ მოქალაქისათვის დახმარების მიღების თაობაზე.

საკრებულოს სამადატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოქალაქე იყო ლანჩხუთის მაცხოვრებელი. აქედან გამომდინარე, მას უარი დაუსაბუთებლად და უსამართლოდ ეთქვა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ის ამ საკითხთან დაკავშირებით საქმის კურსში არ იყო. მისი თქმით, თუ ეს მოქალაქე ლანჩხუთის მკვიდრი იყო, მუნიციპალიტეტის მხრიდან მის ოჯახის მიმართ მოხდება დახმარების აღმოჩენა.

საკრებულოს სამადატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ გარდაცვლილი მოქალაქის ოჯახი ითხოვს თანხის სამედიცინო დაწესებულებისთვის ჩარიცხვას.

საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ ის პირადად გაეცნო აღნიშნული მოქალაქის განცხადებას და წერილის შინაარსმა ადამიანურად ძლიერ იმოქმედა მასზე. მან მიმართა გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს, თამარ ფირცხალაიშვილს, უმჯობესი იყო სამსახურს ასე იმპერატიულად არ ეთქვა უარი მოქალაქესათვის, უნდა ყოფილიყო მეტი კოორდინაცია. პირადად უნდა შესულიყო მუნიციპალიტეტის გამგებელთან და საქმის კურსში ჩაეყენებინა იგი.

ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარემ **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების პროგრამაში სარეიტინგო ქულასთან დაკავშირებული საკითხი არის გადასახედი, ვინაიდან მოქალაქეებს რომლებსაც აქვს 120 000 მეტი სარეიტინგო ქულა და არის უაღრესად შეჭირვებული ვერ ხერხდება მათთვის დახმარების აღმოჩენა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ასეთ სიტუაციაში უნდა მოხდეს მოქალაქის დაკმაყოფილება ერთჯერადი დახმარების პროგრამიდან.


საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ხელაძე დაინტერესდა, თუ სკოლამდელ-სააღმწერდლო საგანმანათლებლო დაწესებულებთან დაკავშირებული საკითხის შეჯერებული ვარიანტი როდის შემოვა მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მისი თქმით, უმჯობესია არ მოხდეს საკითხის კიდევ გადადება და მისის თვეში იქნას განხილული.

სხდომის თავმჯდომარემ, გააჟღერა ინფორმაცია, რომ ლანჩხუთის გოგონათა საფეხბურთო გუნდმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა გორის „დილა“-ს თან შეხვედრაში და 3:0 დაამარცხა მეტოქე. მან გოგონათა ძალიან პერსპექტიულ საფეხბურთო გუნდს კიდევ ბევრი წარმატება უსურვა. ასევე მან მიმართა ბიუროს წევრებს, თუ არის საჭირო მუნიციპალიტეტის სოციალურ პაკეტში რაიმე ცვლილების შეტანა, შეიკრიბონ, ერთად განიხილონ ყველა დეტალი და ერთობლივად, შეჯერებულად შეიტანონ ცვლილება მის რომელიმე მუხლში.

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში და უზრუნველყოს გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა ბიუროს სხდომაზე გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირება.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო